დაკვეთა 33/2021

ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №2, №1ა, №1 და №2-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.14.001.424), ორი მრავალსართულიანი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

დირექტორი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2021 წ.

შპს „გეოინჟკომპლექსი“
ჟიული შარტავას ქ. №43დ
თბილისი, 0160, საქართველო

"GEOENGCOMPLEX" LTD
43d Zhiuli Shartava Str., 0160
Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 37 62 55 E-mail: geo.logi@yahoo.com

სარჩევი

№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	1
2	პროგრამა	2 – 3
3	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	4 – 14
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
4	გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი	15
5	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	16
6	წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა	17 – 20
	ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევის შედგები 4 ფ.	
	III გრაფიკული მასალა	
8	ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით	ფ. №1
9	ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№2 – 3
10	ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№4 – 9
11	პირობითი აღნიშვნები	ფ. №10

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – ორი მრავალსართულიანი მრავალფუნქციური შენობა.
დამკვეთი – შპს „ასტორია 2012”-ის დირექტორი ვენერა ამირეჯიბი.
ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №2, №1ა, №1 და №2-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.14.001.424).
დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.
შენობების კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.

ობიექტის ტექნიკური დახასიათება:

დასაპროექტებელი შენობები 8 და 35 სართულიანებია, სარდაფის სართულებით. პირველი სართულების იატაკის საპროექტო ნიშნულები მიბმული იქნება ადგილმდებარეობის რელიეფთან (დადგინდება მოგვიანებით).
შენობა-ნაგებობების ტიპი – მონოლითური ჩონჩხედი, ბლოკების შევსებით.
საძირკვლების სავარაუდო ტიპები – ბურღვით-ნატენი ხიმინჯები.
საძირკვლის მასალა – რკინაბეტონი.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული, 3 ეგზემპლარად და ელვერსია.

დანართი: ტერიტორიის ტოპოგეგმა შენობების კონტურის დატანით 1:500 მასშტაბში.

დავალება გასცა ვ. ამირეჯიბი

პ რ ო გ რ ა მ ა

ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №2, №1ა, №1 და №2-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.14.001.424), ორი მრავალსართულიანი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

წინამდებარე პროგრამა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) პ.პ. 1.19, 1,21, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სნ და წ 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნათა საფუძველზე.

ჩასატარებელი კვლევის მიზანი:

ა) საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა;

ბ) დასაპროექტებელი შენობების დაფუძნების პირობების გადაწყვეტა.

ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №2, №1ა, №1 და №2-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.14.001.424).

დასაპროექტებელი შენობების ტექნიკური დახასიათება მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (ერთვის დასკვნას).

სამშენებლო ტერიტორიაზე ამჟამად განთავსებულია რესტორანი „ასტორია", რომელიც მოიცავს 2 სართულიან შენობას და ხის კოტეჯებს, რომელთა დემონტაჟი მიმდინარეობს.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის თანახმად, ტერიტორია მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

უშუალოდ მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ადრე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შესახებ ცნობილი არ არის. მის მიმდებარედ კი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის შპს „გეოინჟკომ-პლექსი"-ს მიერ ჩატარებულია კვლევები, რომელთა მასალები დაცულია არქივში და საჭიროებისას გამოყენებული იქნეს.

გეომორფოლოგიურად ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის ჭალისზედა პირველი ტერასის ნაწილს.

საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების შემდეგ გადაწყდა შესრულდეს შემდეგი სამუშაოები:

1. ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესასწავლად, საბურღი დაზგისთვის მისადგომ ადგილებში და შენობების კონტურის ფარგლებში გაიბურღოს 6 ჭაბურღილი.

ბურღვა ჩატარდეს საბურღი დაზგით „შბბ 1 ვს”, მექანიკური-სვეტური მეთოდით, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ჭაბურღილების სიღრმე განისაზღვროს ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის ჩაწოლის სიღრმით.

2. ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებიდან, ლაბორატორიული კვლევისთვის, აღებულ იქნეს გრუნტების დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის ნიმუშები, სნ და წ 1.02.07-87-ის პ.3.75-ში რეგლამენტირებული რაოდენობით.
3. საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტის წყლების ქიმიური შემადგენლობის და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიულობის ხარისხის განსასაზღვრავად, ჭაბურღილებიდან აღებული იქნას წყლის სინჯები არანაკლები 3-სა (სნ და წ 1.02.07–87-ის, პ. 3.56).
4. შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში (დასკვნა), სნ და წ 1.02.07-87 მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად, აიკინძოს 3 ეგზემპლარად და შესრულდეს ელექტრონული ვერსია.

შპს „გეოინჟკომპლექსი”-ს
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №2, №1ა, №1 და №2-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.14.001.424), ორი მრავალსართულიანი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

თავი I – შესავალი

შპს „ასტორია 2012"-ის დირექტორის – ვ. ამირეჯიბის დაკვეთით (დაკვ.№33/2021), შპს „გეოინჟკომპლექსის" მიერ, 2021 წლის აპრილში, ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №2, №1ა, №1 და №2-ის მიმდებარედ გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.17.14.001.424), ორი მრავალსართულიანი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისთვის, ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს შეადგენდა მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი შენობების დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა.

შენობების ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

უშუალოდ ტერიტორიაზე, წინა წლებში ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შესახებ ცნობილი არ არის.

უბნის მომიჯნავედ, მის სამხრეთით 2005 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, საცხოვრებელი კომპლექსის „ორთაჭალის ტურფას" მშენებლობასთან დაკავშირებით, და, ასევე ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2007 წლის მაისში, ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩის დასაწყისის მიმდებარედ მრავალსართულიანი შერეული ფუნქციის სავაჭრო საოფისე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, აღნიშნული განყოფილების მიერ ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომელთა მასალები ინახება განყოფილების არქივში და გამოყენებულია წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

ტექნიკური დავალების, შედგენილი პროგრამის და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, სნ და წ 2.02.03-85, პნ 02.01-08, პნ 01.01-09) მოთხოვნების თანახმად, ტერიტორიაზე, საბურღი დაზგისთვის მისადგომ ადგილებში, დასაპროექტებელი შენობების კონტურის ფარგლებში, გაყვანილ იქნა 6 ჭაბურღილი – №№1÷6, სიღრმით №№1 და 3 – 15,0 მ თითოეული, №2 – 12,0 მ, №№4, 5 და 6 – 20,0 მ თითოეული. სულ შესრულებული სამუშაოების მთლიანი მოცულობა შეადგენს 102,0 გრძივ მეტრს.

ბურღვა ჩატარდა მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით, თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ-1 ვს“ 160 მმ-დე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

უბნის ამგები გრუნტების ლაბორატორიული შესწავლისთვის აღებულია:

– მსხვილნატეხოვანი გრუნტებიდან – დარღვეული სტრუქტურის 3 ნიმუში, სიღრმის მოცემული ინტერვალებისთვის კერნის მთლიანი გამოსავლის მიხედვით;

– ძირითადი ქანებიდან (არგილითები, ქვიშაქვები) – დაურღვეველი სტრუქტურის 16 ნიმუში ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანებიდან. ნიმუშების აღების კონკრეტული სიღრმეები (ინტერვალები) მოცემულია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიურ სვეტებზე.

გრუნტის წყლის, რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების განსასაზღვრავად აღებულია 3 სინჯი.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები შეივსო განაბურღი გრუნტით.

მსხვილნატეხოვანი გრუნტების, ძირითადი ქანების 12 ნიმუშის გამოცდები და წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები ჩატარდა შპს „გეოინჟკომპლექსი”-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ხოლო ძირითადი ქანების 4 ნიმუშის გამოცდა ჩატარდა გრიგოლ წულუკიძის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ქანების კვლევით ლაბორატორიაში.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, რომელზეც დატანილი იქნა ჭაბურღილების განლაგება და შესრულდა მათი გეგმურ-სიმაღლითი მიბმა ამ ტოპოგეგმის მიხედვით.

თავი II – უბნის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, საზღვრები, კლიმატური პირობები, გეომორფოლოგია, ზოგადი გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგია)

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანზე №2, №1ა, №1 და №2-ის მიმდებარედ გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.17.14.001.424), რომლის საზღვრებია:

ჩრდილოეთიდან – ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი;

სამხრეთიდან და დასავლეთიდან – გრუნტის გზა;

აღმოსავლეთიდან – 15 სართულიანი მშენებარე შენობა და გრუნტის გზა.

მშენებლობისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, ამჟამად განთავსებულია რესტორანი „ასტორია”-ს 2 სართულიანი შენობა და ხის კოტეჯები, რომელთა დემონტაჟი მიმდინარეობს.

პნ 01.05-08-ის („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, რაიონის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

– წლის საშუალო ტემპერატურა – +12,7°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი – -23°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი – +40°C;

– ნალექების წლიური რაოდენობა – 550 მმ;

– ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 33 მ/წმ;

– გაბატონებული ქარების მიმართულება – ჩრდილო-დასავლეთის;

– ქარის წნევის ნორმატული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ – W_0=0,48 კპა, 15 წელიწადში ერთხელ – W_0=0,60 კპა;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

გეომორფოლოგიურად ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის ჭალისზედა პირველი ტერასის ნაწილს.

ტეერიტორიის აბსოლუტური ნიშნულები სამშენებლო მოედნის საზღვრებში მერყეობენ 381,10–386,20 მ-ის ფარგლებში.

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ზედა ეოცენური ასაკის (P_2^3) ძირითადი ქანები – ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მათი მფარავი მეოთხეული ასაკის მდ. მტკვრის ალუვიური (αQ_{IV}) გენეზისის მსხვილნატეხოვანი, დელუვიური (dQ_{IV}) გენეზისის თიხოვანი და ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტები.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორია ხასიათდება მიწისქვეშა წყლების არსებობით, რომელთა გავრცელება ვლინდება მეოთხეულ ნალექებსა და ძირითად ქანებში. მიწისქვეშა წყლები (გრუნტის, ნაპრალოვანი) იკვებება ატმოსფერული წყლების (ზემოდან) და ნაპრალოვანი (ქვემოდან) წყლების ხარჯზე.

თავი III – ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

III_1. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მონაცემების მიხედვით, შედგენილია ჭაბურღილების სვეტების და ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები.

ჩატარებული ბურღვითი სამუშაოების მიხედვით, სამშენებლო მოედანზე, გენეზისის მიხედვით, გამოიყო გრუნტის 4 ტიპი (5 ფენა).

– ტექნოგენური გრუნტი (tQ_{IV}, ფენა 1) – ტერიტორიაზე მიწის ზედაპირიდან 2,20–6,80 მ-ის სიღრმემდეა გავრცელებული და წარმოდგენილია თიხნარის, ღორღის, კენჭების, ბეტონის და აგურის ნატეხების და სამშენებლო ნაგვის ნარევით.

– დელუვიური თიხოვანი გრუნტი (dQ_{IV}, ფენა 2) – ტერიტორიაზე გავრცელებულია ცალკეულ უბნებზე და გამოვლინდა №№2, 4, 5 და 6 ჭაბურღილებში, ნაყარი გრუნტის ქვეშ და წარმოდგენილია ნახევრადმყარი კონსისტენციის ყავისფერი თიხნარებით, სიმძლავრით 0,50–1,00 მ;

– ალუვიური მსხვილნატეხოვანი გრუნტი (αQ_{IV}, ფენა 3), ტერიტორიაზე გავრცელებულია №№2, 4, 5 და 6 ჭაბურღილებში. აღნიშნული გრუნტი წარმოდგენილია 0,80–3,70 მ-ის სიმძლავრის კენჭნაროვანი გრუნტით ქვიშის შემავსებლით 30%-მდე.

– ზედა ეოცენის ძირითადი ქანები (P_2^3, ფენები 4 და 5) – წარმოდგენილია არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით და ვრცელდება 3,50–10,20 მ-ის სიღრმიდან.

ძირითადი ქანები, ეროზიული ზედაპირიდან 0,60–1,40 მ სიმძლავრის ფარგლებში, ძლიერ გამოფიტულია – დანაწევრებულ-დაშლილია, ზოგან გათიხებული, ფიზიკური გამოფიტვის მრავალრიცხოვანი ურთიერთგამკვეთი ნაპრალებით (ქანის მთლიანობა დარღვეულია – კერნი საბურღი მილიდან გამოდის დაშლილი), თუმცა შენარჩუნებული აქვს მთავარი ტექსტურული ნიშანი – შრეობრიობა. გეოლოგიურ ჭრილებზე, ძლიერ გამოფიტული ზონა გამოყოფილია ფენა 4-ით.

ძლიერ გამოფიტული ფენის ქვეშ კვლევის სიღრმეებამდე ძირითადი ქანები საღია, დამახასიათებელი მოლურჯო-რუხი შეფერილობით, ნაპრალები ძირითადად ორიენტირებულია დაშრევების სიბრტყეზე და ქანის მთლიანობა არ არის დარღვეული და ქანები ნაკლებად გამოფიტულია (ფენა 5).

ძირითად ქანებში არგილითები გავრცელებულია თხელი შრეების (1–3 სმ) სახით, ხოლო ქვიშაქვები საშუალო და სქელშრეებრივია (10–30 სმ).

ძირითადი ქანების წოლის ელემენტები, რაიონში არსებული გაშიშვლებების მიხედვით, შემდეგია: შრეების დაქანების აზიმუტი – ჩდ 350°–360°, დახრის კუთხე 25°–30°.

III_2 უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობები

უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობების განხილვისას, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

მიწისქვეშა წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 5,00–7,40 მ სიღრმის ფარგლებში.

გაბურღვის შემდეგ წყლის დონემ ამოიწია და დამყარდა 4,70–7,20 მ-ის ფარგლებში.

გენეტიკურად მიწისქვეშა წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრატს. დიდ გავლენას ახდენს მის კვებაზე ასევე ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციებიდან აქ გამავალი კოლექორიდან განაჟონი ტექნოგენური წყლებიც.

მიწისქვეშა წყლის დონის ცვალებადობაზე მრავალწლიანი რეჟიმული დაკვირვებები არ არსებობს. საორიენტაციოდ, მაქსიმალურ საპროგნოზო დონედ შეიძლება მიღებულ იქნეს +0,5 მ, კვლევის დროს დაფიქსირებულ დამყარებულ დონესთან შედარებით.

თავი IV – ბრუნტების და ბრუნტის წყლის ლაბორატორიული შესწავლის შედეგები

IV_1 ბრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც დასკვნის შესავალში აღინიშნა, ჭაბურღილებიდან აღებული იყო დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის 19 ნიმუში, აქედან:

– 3 დარღვეული სტრუქტურის ნიმუში აღებულია – ფენა 3-ის მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან;

– 16 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ფენა 5-ის ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანიდან.

მსხვილნატეხოვანი გრუნტის და ძირითადი ქანის 12 ნიმუშის შესწავლა ჩატარდა შპს „გეოინჟკომპლექსი”-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

მსხვილნატეხოვან გრუნტზე (ფენა 3) განისაზღვრა გრანულომეტრიული შედგენილობა და შემავსებლის მოკლე ფიზიკური კომპლექსი, ხოლო ფენა 5-ის ძირითადი ქანებისთვის განისაზღვრა:

– სიმტკიცის ზღვრები წყალნაჯერ მდგომარეობაში;

– სიმკვრივე;

ძირითადი ქანის 4 ნიმუშის გამოცდა კი ჩატარდა სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების თვისებების და მასივში მიმდინარე ფიზიკური პროცესების კვლევის ლაბორატორიაში, სადაც განისაზღვრა სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში და დრეკადობის (იუნგის) მოდული.

გამოცდების შედეგები ერთვის დასკვნას კრებსითი ცხრილების სახით.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში მოცემულია ძირითადი ქანების ლაბორატორიული გამოცდების შედეგების გაერთიანებული მნიშვნელობები და გამოთვლილია საშუალო სიდიდეები.

ცხრილი 1

№№	გრუნტის დასახელება	ჭაბ. №№	ნიმუშის აღების სიღრმე	სიმკვრივე ρ გ/სმ³	სიმტკიცის ზღვარი წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c მპა	დრეკადობის (იუნგის) მოდული $E_დ$ მპა
			ფენა 5	ფენა 5	ფენა 5	ფენა 5
1	ქვიშაქვა	1	8,0	2,40	18,8	–
2		1	14,0	–	19,8	4514,2
3		2	9,0	2,41	19,1	–
4		3	9,0	2,35	20,3	–
5		4	12,0	2,38	21,7	–
6		5	15,0	2,43	23,6	–
7		6	10,0	2,41	22,1	–
8		6	17,0	–	19,3	4407,2
საშუალო სიდიდეები				2,40	20,6	4461,2
9	არგილლიტი	1	11,0	2,12	4,3	–
10		2	7,0	2,10	3,7	–
11		2	11,0	–	4,9	1325,5
12		3	13,0	2,22	4,2	–
13		4	16,0	2,23	5,5	–
14		5	13,0	2,20	5,1	–
15		5	18,0	–	5,2	1389,7
16		6	13,0	2,21	5,2	–
საშუალო სიდიდეები				2,18	4,8	1357,6

ცხრილში მოცემული მნიშვნელობების მიხედვით, პნ 02.01-08 საკლასიფიკაციო ცხრილის თანახმად, გრუნტები განისაზღვრა:

– არგილითი (ფენა 5) – ნახევრადკლდოვანი გრუნტი, სიმტკიცის ზღვრით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $\overline{R}_c$=4,8 მპა (48 კგძ/სმ^2); $\overline{\rho}$=2,18 გ/სმ^3, დრეკადობის მოდული $E_დ$=1357,6 მპა.

– ქვიშაქვა (ფენა 5) – საშუალო სიმტკიცის კლდოვანი გრუნტი, სიმტკიცის ზღვრით $\overline{R}_c$=20,6 მპა (206 კგძ/სმ^2) ; $\overline{\rho}$=2,40 გ/სმ^3, დრეკადობის მოდული $E_დ$=4461,2 მპა.

ვინაიდან ფენა 5-ის ძირითადი ქანის მასივი წარმოდგენილია ქვიშაქვებისა და არგილითების თითქმის თანაბარი გავრცელებით, სიმტკიცის ზღვრის ნორმატიულ მნიშვნელობად (ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას) შეიძლება რეკომენდებულ იქნეს ძირითადი ქანების მდგენელი ფენების გასაშუალებული მნიშვნელობა.

$$\overline{R}_c = \frac{\overline{R}_{c\text{ქვიშაქვა}} + \overline{R}_{c\text{არგილითი.}}}{2} = \frac{20,6+4,8}{2} = \frac{25,4}{2} = 12,7 \text{ მპა } (127 \text{ კგძ/სმ}^2)$$

როგორც მსხვილნატეხოვანი გრუნტის გრანულომეტრიული ანალიზის შედეგებიდან ჩანს, იგი მიეკუთვნება ქვიშის 30%-მდე შემავსებლიან კენჭნაროვან გრუნტს (ფენა 3).

IV$_2$ გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები

ტერიტორიაზე გავრცელებული მიწისქვეშა წყლები დახასიათებულია 3 სინჯის ქიმიური ანალიზებით (აღებულია ჭაბ.№№1, 5 და 6).

წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები მოცემულია წყლის სტანდარტული ანალიზების ბლანკებზე და ერთვის დასკვნას.

გამოკვლეული წყალი-გარემო დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონების მიმართ, სულფატების და ჰიდროკარბონატების შემცველობის მიხედვით, პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178, სტანდარტი 31108), პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178, სტანდარტი 31108) კლინკერში ჩანართებით C_3S-65%, C_3A-7%, C_3A+C_4AF-22%, წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4–W_{20} წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონებისადმი.

არმატურის მიმართ ქლორიდების და სულფატების შემცველობის მიხედვით:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

ბ) სუსტად აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

თავი V – დასკვნა და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან აქ არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, შვავი, კარსტი და სხვა) არ აღინიშნება.

   არახელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენს ტექნოგენური გრუნტის მძლავრი 5 მეტრზე მეტი საფარის არსებობა (სეისმური თვისებების მიხედვით III კატეგორიის არახელსაყრელი გრუნტი).

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ტერიტორია სნ და წ 1.02.07–87 მე-10 დანართის თანახმად, მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. გამოკვლეულ ტერიტორიაზე, გამოყოფილი გრუნტების ფენები წარმოადგენენ დამოუკიდებელ საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტებს (**სგე**):

   I სგე – ტექნოგენური – ნაყარი გრუნტი (ფენა 1);

   II სგე – მსხვილნატეხოვანი – კენჭნარი გრუნტი (ფენა 3);

   III სგე – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4);

   IV სგე – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 5).

   თიხნარები (ფენა 2) მცირე სიმძლავრის და ცალკეულ ადგილებში განლაგების გამო **სგე**-ად არ გამოიყო.

3. სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის გრუნტული პირობებიდან და დასაპროექტებელი შენობების ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს შენობების დაფუძნება **IV სგე**-ის გრუნტზე (ნაკლებად გამოფიტულ ძირითად ქანზე (ფენა 5) – ბურღვით ნატენი საყრდენი ხიმინჯების გამოყენებით.

4. ფუძის ანგარიშებისათვის ქვემოთ ცხრილ 2-ში მოცემულია ყველა **სბე**-ის გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, საარქივო მასალების, ნორმატიული დოკუმენტების და საცნობარო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე.

ცხრილი 2

№	გრუნტის მახასიათებელი	საანგარიშო მნიშვნელობები			
		I სბე (ფენა 1)	**II სბე** (ფენა 3)	**III სბე** (ფენა 4)	**IV სბე** (ფენა 5)
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ^3	1,8	1,95	2,00	2,30
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ^2)	–	1(0,01)	–	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	–	45	–	–
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგძ/სმ^2)	10(100)	50(500)	–	–
5	საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)	150(1,5)	500(5,0)	–	–
6	სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c,n}$ კპა (კგძ/სმ^2)	–	–	2000 (20)	12700 (127)
7	დრეკადობის მოდული $E_დ$ მპა	–	–	–	2910
8	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ^3	1,5	6,0	80	100
9	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,27	0,27	0,25	0,20

შენიშვნა: ხიმინჯის შემომფენავი გრუნტების საგების კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობა (C_z) აიღება სნ და წ 2.02.03-85-ის დანართი 1-ის რეკომენდაციების მიხედვით.

5. პნ 01.01–09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას.

ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – III კატეგორიას;

ბ) დანარჩენი გრუნტები (ფენები 2, 3, 4 და 5) – II კატეგორიას.

სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობა დადგინდეს სეისმურად არახელსაყრელ გრუნტულ პირობებთან, სართულიანობასთან და შენობის კონსტრუქციულ ტიპთან დამოკიდებულებაში, პნ 01.01-09-ის ცხრ. 8-ის მე-4 შენიშვნის გათვალისწინებით.

სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი ქ. თბილისისთვის A=0.17.

6. გრუნტის წყლის მაქსიმალურ საანგარიშო დონედ მიღებული იქნას +0,5 მ, საველე სამუშაოების პროცესში დაფიქსირებულ დამყარების დონეებთან შედარებით.

7. გრუნტის წყალს არ ახასიათებს არცერთი სახის აგრესიულობა ნებისმიერი მარკის ცემენტებზე დამზადებული ბეტონების მიმართ.

8. ქვაბულის გათხრისას შესაძლოა საჭირო გახდეს წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება. საორიენტაციოდ წყლის მოდენი ქვაბულის ყოველ $მ^2$-დან მიღებული იქნას 0,02 ლ/წმ, რაც დაზუსტდება ამოტუმბვის პროცესში.

9. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01–87 პ.პ. 3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ III-4-80 მე-9 თავის მიხედვით.

შენიშვნა: 5 მ-ზე ღრმა ქვაბულის ამოღებისას, უნდა შემუშავდეს ქვაბულის მთლიანი პერიმეტრის გამაგრების ღონისძიება (ხიმინჯოვანი, მთლიანი ნარანდი).

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV–2-82 I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:
    ა) ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/$მ^3$ (რიგ. №24ა);
    ბ) თიხნარი (ფენა 2) – სამივე სახით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1750 კგ/$მ^3$ (რიგ №33ბ);
    გ) კენჭნარი (ფენა 3) – ყველა სახით დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/$მ^3$ (რიგ. №6ბ);
    დ) ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4) ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – V ჯგუფს, ხელით დამუშავებისას – Vр ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2000 კგ/$მ^3$ (რიგ. №3ა);
    ე) ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 5) – ხელით დამუშავებისას – VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2300 კგ/$მ^3$ (რიგ. №28ბ).

11. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების მოსაწყობად გაყვანილი ჭაბურღილებისათვის, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფის მიხედვით, ბურღვის მეთოდისა და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგრადობიდან გამომდინარე, მიღებული იქნას სნ და წ IV-2-82 მე-4 კრებულის (ჭაბურღილები) 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

ინჟინერ გეოლოგი  ალ. პასიკაშვილი

შპს „გეოინჟკომპლექსი"-ს
მთავარი გეოლოგი  ა. პასიკაშვილი

ცხრ. №1

შპს „გეოტინკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. ბერი ბაბრიელ სალოსის მოედანი №№2, 1ა, 1 (ს.კ. 01.17.14.001.424) ორი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობა

№№	ბამღ. №	ჭაბურღილის სიღრმე	ნიმუშის სტრუქტურა	ლაბ. №	ბრანულომეტრული შემადგენლობა: ფრაქციის ზომა, მმ							ბუნებრივი ტენიანობა	ბრუნტის დასახელება
		h			>60	60-40	40-20	20-10	10-5	5-2	<2	W	
		მ			%							%	
1	ჭაბ. №4	8.0-9.5	დარ. სტრ.	329	6.9	15.6	20.3	9.7	8.0	10.1	29.4	10.2	კენჭნაროვანი ბრუნტი შემ. ქვიშა
2	ჭაბ. №5	7.0-9.0	დარ. სტრ.	332	11.2	9.7	18.8	14.0	10.1	9.2	27.0	13.5	კენჭნაროვანი ბრუნტი შემ. ქვიშა
3	ჭაბ. №6	5.5-7.5	დარ. სტრ.	335	13.6	10.4	15.5	16.3	9.9	7.4	26.9	12.8	კენჭნაროვანი ბრუნტი შემ. ქვიშა

ინჟინერი მ. ჭარბაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

ცხრ. №2

შპს
„გეოინჟკომპლექსი"
გეოტექნიკური ლაბორატორია
თბილისი. შარტავას ქ. №43დ

კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №№2, 1ა, 1 (ს.კ. 01.17.14.001.424) ორი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობა

რიგითი №	გამონამუშევრის №	აღების სიღრმე	გამოცდის ტიპი	ლაბ. №	სიგანე	დიამეტრი	ფართობი	ექვივალენტური დიამეტრი		მრღვევი ძალა	სიმტკიცის ინდექსი	კორექტირების კოეფ-ტი	კორექტირებული სიმტკიცის ინდექსი	კოეფ-ტი	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (წყალგაჯ.)	სიმკვრივე	გრუნტის დასახელება
		h			W	D	A	D_e^2	D_e	P	I_s	F	$I_{s(50)}$	C	Rc (δ_{uc})	ρ	
		მ			მმ	მმ	მმ²	მმ²	მმ	კნ	მპა	-	მპა	-	მპა	გ/სმ³	
1	ჭაბ. №1	8.0	d -არასწორი ფორმის	323	77.9	60.0	4674.0	5951.1	77.14	3.751	0.63	1.22	0.77	24.5	18.8	2.40	ქვიშაქვა
2		11.0	d -არასწორი ფორმის	324	60.3	40.2	2424.1	3086.4	55.56	0.515	0.17	1.05	0.17	24.5	4.3	2.12	არგილითი
3	ჭაბ. №2	7.0	d -არასწორი ფორმის	325	70.1	30.4	2131.0	2713.3	52.09	0.430	0.16	1.02	0.16	23.0	3.7	2.10	არგილითი
4		9.0	d -არასწორი ფორმის	326	75.5	42.3	3193.7	4066.3	63.77	2.840	0.70	1.12	0.78	24.5	19.1	2.41	ქვიშაქვა
5	ჭაბ. №3	9.0	d -არასწორი ფორმის	327	80.6	50.4	4062.2	5172.2	71.92	3.642	0.70	1.18	0.83	24.5	20.3	2.35	ქვიშაქვა
6		13.0	d -არასწორი ფორმის	328	65.3	35.5	2318.2	2951.6	54.33	0.499	0.17	1.04	0.18	24.0	4.2	2.22	არგილითი
7	ჭაბ. №4	12.0	d -არასწორი ფორმის	330	70.2	36.9	2590.4	3298.2	57.43	2.741	0.83	1.06	0.88	24.5	21.7	2.38	ქვიშაქვა
8		16.0	d -არასწორი ფორმის	331	68.4	42.3	2893.3	3683.9	60.70	0.759	0.21	1.09	0.22	24.5	5.5	2.23	არგილითი
9	ჭაბ. №5	13.0	d -არასწორი ფორმის	333	70.0	35.1	2457.0	3128.4	55.93	0.635	0.20	1.05	0.21	24.0	5.1	2.20	არგილითი
10		15.0	d -არასწორი ფორმის	334	81.1	46.8	3795.5	4832.6	69.52	4.008	0.83	1.16	0.96	24.5	23.6	2.43	ქვიშაქვა
11	ჭაბ. №6	10.0	d -არასწორი ფორმის	336	80.4	44.4	3569.8	4545.2	67.42	3.592	0.79	1.14	0.90	24.5	22.1	2.41	ქვიშაქვა
12		13.0	d -არასწორი ფორმის	337	68.8	38.0	2614.4	3328.8	57.70	0.661	0.20	1.07	0.21	24.5	5.2	2.21	არგილითი

ინჟინერი მ. ჯარბაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი	

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ქ. თბილისი. ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №№2, 1ა, 1 (ს.კ. 01.17.14.001.424)

ორი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობა

წყალჯუნქტის დასახელება ჭაბ № 1	სინჯის აღების თარიღი: 09. 04. 2021
სინჯის აღების სიღრმე **h** = 6.0 მ	

ლაბ. № 14

სიხისტე

დასახელება	გერმანული გრადუსი	მგ/ექვ
საერთო	5.0	1.8
კარბონატული	22.4	8.0
არაკარბონატ.	0.0	0.0
მინერალიზაცია		
საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	1493.70
ნახშიროჟანგი **CO_2**		
თავისუფალი **CO_2**	მგ/ლ	44.00

წყლის მარილოვანი შემადგენლობა

(კურლოვის ფორმულა)

$$M_{1.5}\frac{HCO^{3}_{34}\quad SO^{4}_{50}\quad Cl_{16}}{Na_{93}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	$_pH$	7.8

	იონები		მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	**Cl^-**	136.46	3.84	16.13
	სულფატი	**SO_4^{2-}**	575.90	11.99	50.31
	ჰიდროკარბონატი	**HCO_3^-**	488.00	8.00	33.57
	კარბონატი	**CO_3^{2-}**	0.00	0.00	0.00
	ჯამი		1200.36	23.83	100.00
კათიონები	ნატრიუმი კალიუმი	**Na^++K^+**	507.13	22.05	92.51
	კალციუმი	**Ca^{2+}**	21.46	1.07	4.49
	მაგნიუმი	**Mg^{2+}**	8.71	0.71	3.00
	ჯამი		537.31	23.83	100.00

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი	

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ქ. თბილისი. ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №№2, 1ა, 1 (ს.კ. 01.17.14.001.424)

ორი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობა

წყალჯუნქტის დასახელება ჭაბ № 5	სინჯის აღების თარიღი: 09. 04. 2021
სინჯის აღების სიღრმე **h** = 7.4 მ	

ლაბ. № 15

სიხისტე

დასახელება	გერმანული გრადუსი	მგ/ექვ
საერთო	4.0	1.4
კარბონატული	19.6	7.0
არაკარბონატ.	0.0	0.0
მინერალიზაცია		
საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	1317.10
ნახშირორჟანგი **CO_2**		
თავისუფალი **CO_2**	მგ/ლ	66.00

წყლის მარილოვანი შემადგენლობა

(კურლოვის ფორმულა)

$$M_{1.3}\frac{HCO^{3}_{33}\ SO^{4}_{53}\ Cl_{14}}{Na_{93}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	$_pH$	7.8

	იონები		მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	**Cl^-**	102.35	2.88	13.78
	სულფატი	**SO_4^{2-}**	530.00	11.03	52.75
	ჰიდროკარბონატი	**HCO_3^-**	427.00	7.00	33.46
	კარბონატი	**CO_3^{2-}**	0.00	0.00	0.00
	ჯამი		1059.35	20.92	100.00
კათიონები	ნატრიუმი კალიუმი	**$Na^+ + K^+$**	448.26	19.49	93.17
	კალციუმი	**Ca^{2+}**	14.31	0.71	3.41
	მაგნიუმი	**Mg^{2+}**	8.71	0.71	3.41
	ჯამი		471.28	20.92	100.00

